არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!

ელენე კავთუაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი,
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტი

საკვანძო სიტყვები: მართლმსაჯულება, ბავშვი, რეფორმები

„ბავშვისთვის თავისუფლების წართმევა ზრდის მის აგრესიულობას“
თომას ჰამარბერგი*

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემა ყოველთვის იყო მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. სამართალდამრღვევი არასრულწლოვნებისადმი განსხვავებული მიდგომა სრულწლოვნებთან შედარებით ისტორიულად ყალიბდებოდა. ჯერ კიდევ XIII საუკუნის ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსში ნათქვამი იყო, რომ „უფროსებს ქურდობისთვის შეიძლება მოაჭრან ორივე ხელი, არასრულწლოვნებს კი – მხოლოდ ერთი“. იმანუელ კანტის სიტყვებით: „არასრულწლოვანება ნიშნავს უუნარობას, იმოქმედო საკუთარი გონების კარნახით,

* ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი

სხვისი მითითებების გარეშე". აღსანიშნავია, რომ ბავშვები, რომლებიც კრიმინალურ კარიერას ადრეული ასაკიდან იწყებენ, როგორც წესი, რთულად უბრუნდებიან საზოგადოებას ღირსეულ წევრებად, ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ ითხოვს ეს პრობლემა ჩაღრმავებას.[1]

დანაშაულზე სოციალური კონტროლის პირველ ფორმად, შესაძლებელია, მივიჩნიოთ სისხლის აღება. იგი წარმოიშვა როგორც დამსჯელი ინსტიტუტი, რაც დამახასიათებელი იყო მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებისათვის, მაგრამ შემდგომში, დემოკრატიული საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, სამაგიეროს გადახდის პრინციპი ეჭვქვეშ დადგა. პოპულარული გახდა ფრანგი განმანათლებლების იდეა იმის თაობაზე, რომ უფრო შედეგის მომტანია არა დამნაშავის დასჯა, არამედ დანაშაულის თავიდან აცილება. დღესდღეობით კი სასჯელით სამაგიეროს მიზღვევის მიზანი, ფაქტობრივად, უარყოფილია.

სასჯელი უნდა შეირჩეს დამნაშავის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით. „კარგია სასჯელი, რომელიც ამცირებს რეციდივის რისკს".[2] თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერება ორიენტირებულია სწორედ დანაშაულის ჩადენის მიზეზების აღმოფხვრაზე, რომ ადამიანებში, განსაკუთრებით მოზარდებში, დამკვიდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებისათვის მისაღები მორალი და ღირებულებები. დანაშაულის პროფილაქტიკის თანამედროვე კონცეფციები მოგვიწოდებენ დამსჯელობითი ზომებიდან სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ დახმარებაზე გადასვლისაკენ.[3] ამასთან, თანამედროვე მსოფლიოში ბავშვებს, რომელთაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლის კანონით დაცული სფეროს დარღვევა, უფლება აქვთ ისეთ მოპყრობაზე, რომელშიც სრულიად იქნება გათვალისწინებული მათი ასაკი და მოთხოვნილებანი.

იუვენალური იუსტიცია ახალი ცნებაა საქართველოსთვის. ცნება – „იუვენალური იუსტიცია" მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია მის მთავარ რგოლთან – არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოსთან.[4] საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული ინგლისურენოვანი დეფინიცია "JUVENILE JUCTICE" – ქართულენოვან დოკუმენტებში ითარგმნება, როგორც „მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ".

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩვენეული სისტემის საწყისები კლასიკურ რომაულ სამართალში უნდა ვეძიოთ, საიდანაც ორი მიმართულება იკვეთება: პირველი უდავოდ სადამსჯელოა, მეორე კი მხარდამჭერი და საზედამხედველო. პირველმა განაპირობა სრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ბავშვებისათვის. შუა საუკუნეებში, საეკლესიო სამართლის თანახმად, რომაული სამართლის კლასიფიკაციის შესაბამისად, ბავშვების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიხედვით დაყოფამ დასრულებული ფორმა მიიღო, რაც შემდგომ საერთო სამართალშიც აისახა.

გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის" განხორციელების შესახებ 2003 წელს საქართველოს მიერ წარდგენილი მეორე პერიოდული ანგარიშის შემდეგ გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა (CRC) მთელი რიგი რეკომენდაციები მისცა საქართველოს მთავრობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში „არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ვერ ახორციელებს გაეროს "ბავშვის უფლებათა კონვენციის" დებულებებს, არ შეესაბამება გაეროს

1 ყანდაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (გაეროს 1989 წლის „ბავშვთა უფლებათა საერთაშორისო კონვენციისა" და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით) <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi>

2 პრადელი ჟ., 1999. „შედარებითი სისხლის სამართალი". თბილისი, გვ. 443.

3 კუსიანი ე., 2011. „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და პრევენცია", <http://www.education.ge/>

4 "Rights for every child". 2004. UNICEF, გვ 10.

„მინიმალურ სტანდარტებსა და ნორმებს" არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღიარებული პრაქტიკის თანამედროვე ცნებებს.[5]

საქართველოში არსებული კანონმდებლობა ნაწილობრივ ითვალისწინებდა სპეციფიკურ მიდგომას არასრულწლოვნების მიმართ, თუმცა საერთაშორისო სტანდარტები გაცილებით მაღალია და მათთან შესაბამისობისთვის აუცილებელი იყო ერთიანი სპეციალური საკანონმდებლო აქტის ჩამოყალიბება. საქართველოში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, რომელიც უზრუნველყოფდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებების სათანადო დაცვას და უპასუხებდა მათს საჭიროებებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. „არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოება უნდა ემყარებოდეს გაეროს კონვენციით აღიარებულ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და სისხლისსამართლებრივი სანქციების ნაცვლად აქცენტი გადატანილი უნდა იყოს პრევენციულ ღონისძიებებზე".[6]

2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებულმა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა" არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა სპეციფიკური მიდგომა და იგი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე მსუბუქი ზომების გამოყენებით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე და მისივე გამოსწორებისთვის, როგორც წესი, უმჯობესია სასამართლოში საქმის წარმოების ან სხვა მკაცრი ზომების მიღების თავიდან აცილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებითაც დაამკვიდრა ახალი სტანდარტები, კერძოდ, კოდექსი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული. ამასთანავე, კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართაც. კერძოდ, კოდექსი მათ მიმართ გამოიყენება მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (როდესაც 18-დან 21 წლამდე პირი ბრალდებულია), მასზე ვრცელდება აგრეთვე კოდექსის 38-ე – 48-ე მუხლები. 18-დან 21-წლამდე ასაკის პირზე არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი ნორმების გავრცელება აპრობირებულია სახელმწიფოებში, სადაც განვითარებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად: გერმანია, ხორვატია, სერბეთი, ჰოლანდია და ა.შ.[7] საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზე არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი წესების გავრცელება[8] საქართველოს მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანია, ჰუმანური და ლიბერალური გახადოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. მკაფიოდ განსაზღვრა, რომ არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია – რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაა. სასჯელი

5 ჰამილტონი ქ., 2007. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში". ,UNICEF Georgia.

6 ფაფიაშვილი ლ., 2007. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – ედუკაციური იურისდიქცია" , ჟურნალი „საქართველოს პარლამენტი". გვ. 52.

7 <http://www.refworld.org/> http://www.vsrh.hr/ http://dejure.org/gesetze/>

8 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია., მუხლი 37(ბ), იხ. ასევე ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 28.

უნდა შეირჩეს დამნაშავის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით.

კოდექსში არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებელი სასჯელები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

ა) ჯარიმა;
ბ) შინაპატიმრობა;
გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
დ) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;
ე) თავისუფლების შეზღუდვა
ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

ჯარიმა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი განსაზღვრავდა ჯარიმის მინიმალურ ოდენობას – 2000 ლარს, ხოლო ამავე მუხლის 51 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნარო იყო, მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას სასამართლო აკისრებდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა კი განსაზღვრა, რომ არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ მაშინ, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან, ასევე არასრულწლოვნებისთვის სსკ-ით დადგენილი ჯარიმის მინიმალური ოდენობა განახევრდა. აღნიშნული მიდგომით სახელმწიფოს მიერ აღარ მოხდება ჯარიმის გამოყენება ისეთი დამნაშავის მიმართ, რომელსაც არ აქვს საშუალება, ეს ჯარიმა გადაიხადოს.

შინაპატიმრობა – არასრულწლოვანს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს შინაპატიმრობა, რაც ნიშნავს, რომ მას დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება აკისრია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საფუძველზე სექტემბრიდან ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელსაც პრობაციის ეროვნული სააგენტო ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით აღასრულებს. სასჯელის მოხდის ალტერნატიული ფორმის დანერგვა სისხლის სამართლის სისტემის ლიბერალიზაციას ემსახურება. ციხის ალტერნატიული სანქციების გამოყენება, ის, რომ ციხე უნდა იყოს სასჯელის უკიდურესი ფორმა, მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, არასრულწლოვანების შემთხვევაში კი ეს მოთხოვნა უფრო მკაცრად არის დაყენებული. როდესაც სასამართლოში განიხილება არასრულწლოვნის საქმე, თუ არ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ფაქტები, სასამართლო მაქსიმალურად ცდილობს, სასჯელაღსრულების დაწესებულება სასჯელის მოხდის ფორმად არ გამოიყენოს. შინაპატიმრობის რეჟიმი – სახლში ყოფნის გრაფიკი მტკიცდება სასამართლოს მიერ და მას კონტროლს უწევს პრობაციის სააგენტო, შინაპატიმრობის რეჟიმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მშობელსაც.

შინაპატიმრობა არის ალტერნატიული სასჯელის ფორმა, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ შინაპტიმრობაში მყოფი პირი 24 საათის განმავლობაში უნდა იყოს სახლის პირობებში. მოსამართლე, გამომდინარე არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან, განუსაზღვრავს მას იმ საათებს, რა პერიოდშიც ის უნდა იყოს სახლში. დანარჩენ დროს არასრულწლოვანი თავისუფალია იმისთვის, რომ მან იაროს სპორტზე, სკოლაში, ჰქონდეს ურთიერთობა სოციუმთან და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, რომ არ დაუშვას ის შეცდომა, რის გამოც არის ბრალდებული. აპარატურას აქვს მანძილის გაზომვის რამდენიმე რეჟიმი. შინაპატიმრობაში მყოფ პირებს სამაჯური დაუმაგრდებათ ფეხზე, ფეხიდან სამაჯურის მოძრობა, ხელისგან განსხვავებით, გახსნის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია; ამას გარდა, ხელზე მიმაგრებული სამაჯური უფრო ჩანს და რომ არ მოხდეს პატიმრის უფლებების შელახვა და მისი ერთგვარი დისკრედიტაცია, სამაჯურის მიმაგრება უმჯობესია ფეხზე. სამაჯური იმდენად კომპაქტურია, რომ არანაირ დისკომფორტს არ შეუქმნის პირს.[9]

9 რიჟამაძე, თ., 2015-09-21. „როგორ გააკონ-

რეჟიმის შესრულებაზე კონტროლი ხორციელდება დისტანციური ელექტრონული საშუალებებით – როგორც წესი, მსჯავრდებულს სახლში შესვლა და გამოსვლა სახლში დამონტაჟებულ მოწყობილობაზე დაფიქსირდება, საჭიროების შემთხვევაში პრობაციის ოფიცერს უფლება აქვს, მოინახულოს მსჯავრდებული სახლში, სამსახურში, სწავლის ადგილზე. შინაპატიმრობის რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, მსჯავრდებულს პრობაციის წარდგინებით შეიძლება შეეფარდოს უფრო მკაცრი სასჯელი, ასევე შეიძლება დაჯარიმდეს პასუხისმგებელი მშობელიც.

რა შეგვიძლია ჩავთვალოთ შინაპატიმრობის დადებით შედეგებად?

1. მსჯავრდებულს უნარჩუნდება სწავლისა და სამუშაოს შესაძლებლობა, რაც მის გამოსწორებას უდავოდ ხელს შეუწყობს (რესოციალიზაცია);
2. ოჯახურ გარემოში სასჯელის მოხდა მსჯავრდებულს შეუნარჩუნებს სოციალური ხასიათის ქცევებს (რეინტეგრაცია);
3. სახელმწიფო დაზოგავს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა შენახვისათვის საჭირო თანხებს.[10]

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც კანონმდებლებმა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში შექმნეს. ბრალდებული ვალდებულია, გარკვეული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს საზოგადოების სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 85-ე მუხლით განსაზღვრული იყო, რომ არასრულწლოვანისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ინიშნებოდა 40-დან 320 საათამდე ვადით, ამასთან 15 წლამდე არასრულწლოვანისთვის იგი არ უნდა ყოფილიყო 4 საათზე მეტი, ხოლო 15-18 წლამდე არასრულწლოვანისთვის – 6 საათზე მეტი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლმა კი განსაზღვრა, რომ არასრულწლოვანს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით, ხოლო ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. ასევე, ახალმა კოდექსმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ აღნიშნული სასჯელის გამოყენებისას, მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე უნდა გამწესდეს, სადაც საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში აღნიშნული იყო, რომ საზოგადოებისთვის სასრგებლო შრომა არის სასჯელის განხორციელებადი ზომა და იგი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული.[11] მიჩნეულია, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების უპირატესი ხასიათი თავისუფლების აღმკვეთ სასჯელებთან მიმართებით, სხვა მრავალი პოზიტიური ასპექტის გარდა, როგორიც არის, მაგალითად, რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა, შეიძლება აისახოს ასევე სასჯელის ეკონომიის პრინციპის თვალთახედვითაც.[12] სასურველია, რომ სასაჯელის აღნიშნული სახე საქართველოში მეტი ინტენსივობით გამოიყენებოდეს. იგი ერთ-ერთია იმ სასჯელთაგან, რომლითაც ბრალდებულს უქმნიან გარემოს, რომ არ მოხდეს ახალი დანაშაულის ჩადენა, მაგრამ ისე, რომ არ შეილახოს მისი პიროვნული ღირსება ცუდი მოპყრობით.

თავისუფლების შეზღუდვა – საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების

ტროლებენ პატიმრებს შინაპატიმრობაში სამაჯურებით და რა კატეგორიის მსჯავრდებულს შეეხება სასჯელის მოხდის ალტერნატიული მექანიზმი", , <http://www.tbiliselebi.ge>

10 კობიძე ი., 22.07.2014. „შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა", <http://reformersclub.ge/>

11 "სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა",(მიღებული უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2009 წლის 27 ივლისს) <www.justice.gov.ge>

12 ხერხეულიძე ი., 2011. „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო გარანტი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი". N 2, გვ. 119.

შეზღუდვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრული იყო 4 წელი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა კი აღნიშნული ვადა 1 წლით შეამცირა და 3 წლამდე დაიყვანა, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტორია.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – ბავშვთა დაკავება, დაპატიმრება, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ან არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მოთავსება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაღწიეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, მაგრამ გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის'' მიხედვით, ეს ზომები უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა და გრძელდებოდეს ხანმოკლე ვადით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისაგან.

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში მოკვლეული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ იმ ბავშვებს, რომელთაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, რეციდივის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვთ. ასეთი ბავშვების თითქმის 75-80% ხელმეორედ სჩადის დანაშაულს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ დანაშაულზე რეაგირება არასისხლისსამართლებრივ დაწესებულებებში და ბავშვის მოცილება სისხლისსამართალწარმოებისსისტემისგან უფრო მეტად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენის შემცირებას, ვიდრე სისხლისსამართლებრივი დევნა. უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითად მიზანს რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია უნდა წარმოადგენდეს – აღნიშნა გაეროს ბავშვთა ფონდის ექსპერტმა ბავშვთა უფლებების სფეროში ქეროლ ჰამილტონმა საქართველოში გამართულ შეხვედრაზე.[13] ამასთანავე, კვლევებმა აჩვენა, რომ ისინი, ვინც დაპატიმრებულნი არიან არასრულწლოვნების პერიოდში, დიდი შანსია, რომ დაკავებულნი იქნებიან მოზარდობის პერიოდშიც.[14]

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლი განსაზღვრავდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთას, რომლის მიხედვითაც, თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა მცირდებოდა 1/3-ით და არ უნდა ყოფილიყო 10 წელზე მეტი, ხოლო თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთის ვადა უმცირდებოდა 1/4, რაც საბოლოო ჯამში არ უნდა ყოფილიყო 15 წელზე მეტი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი დაუშვებლად აცხადებს საპატიმრო ღონისძიებების გამოყენებას არასრულწლოვნის მიმართ ისეთ შემთხვევაში, როცა კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა შესაძლებელია უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით. ამგვარად, „უფრო მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვების რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობა განთავსდეს ციხეში".[15] კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს და წარსულში მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, კოდექსის მიხედვით, შემცირებულია თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთის ვადა და მისი მაქსიმუმი 12 წელია.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, პირველ რიგში, მოსამართლემ უნდა შეაფასოს, არის თუ არა სასჯელის შეფარდების საჭიროება და შესაძლებელია თუ არა ალტერნატიული ზომების გამოყენება. მაგ: გაერთიანებულ სამეფოში არსებობს სახელმძღვანელო მითითებები

13 ჰამილტონი ქ., 2006. გაეროს ბავშვთა ფონდის ექსპერტი ბავშვთა უფლებების სფეროში, ესექსის უნივერსიტეტის იურისპრუდენციის პროფესორი, საქართველოში გამართული შეხვედრა.

14 Huizinga, D., 2000. Who goes to prison? Paper presented at the Annual Conference on Criminal Justice Research and Evaluation, Washington, DC.

15 ფაფიაშვილი ლ., 2008. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი" „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი", თბილისი, N 1, გვ. 154.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნის თაობაზე, რომელიც ამგვარად გამოიყურება: „სასჯელის განსაზღვრამდე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ან დანაშაულების სიმძიმე და ნებისმიერი შემამსუბუქებელი ფაქტორი, რომელიც ასოცირდება დანაშულთან და უშუალოდ ახალგაზრდასთან".[16] სასჯელის შეფარდების მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია. სასჯელი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სადამსჯელო ხასიათის, რეინტეგრაციისთვის საუკეთესო საშუალება არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენება და მსჯავრდებულზე გარკვეული მოვალეობების დაკისრებაა.

რაც შეეხება პირობით მსჯავრს, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის" მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასაჯელი ჩაითვალოს პირობითად იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი არ ყოფილა მსჯავრდებული და ჩადენილი დანაშული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განრიდების ინსტიტუტს არასრულწლოვნებთან მიმართებით ცენტრალური როლი უჭირავს. თუკი არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განრიდების შესაძლებლობა განიხილება. ამასთან, განრიდების გამოყენებისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა და სხვა ფაქტორები,. რაც მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, არის ის, რომ განრიდების პროცესში გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. გაეროს ბავშვთა კონვენციის ერთ-ერთი საფუძველი არის ალტერნატიული სასჯელები, რაც გულისხმობს იმას, რომ არასრულწლოვან დამნაშავეს, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაული, სთავაზობენ სასამართლო პროცესისგან განსხვავებულ ალტერნატიულ ღონისძიებებს. მან უნდა შეასრულოს რაიმე დავალება (აანაზღაუროს ზარალი, მოიხადოს ბოდიში, შეასრულოს საგანმანათლებლო ან სამუშაო პროექტი და ა.შ.) ამ მიდგომის ძირითადი მიზანი არის არასრულწლოვანის განათლების გაღრმავება და საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

ამ მიდგომით საზოგადოებას სურს, არასრულწლოვანი მიახვედროს თავის არასწორ საქციელს ჰუმანური და მეგობრული გზით. მრავალი წლის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არასასამართლო გზით არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას. უკანასკნელ წლებში აქტიურად დაიწყო კანონმდებლობაში არაფორმალური მართლმსაჯულების შეტანის ტენდენცია იმ მიზეზით, რომ მცირე დანაშაულობები ხშირ შემთხვევაში ასაკობრივ მოვლენას წარმოადგენს.[17]

დღესდღეობით ყველაზე მზარდი რაოდენობით არასრულწლოვნების მიმართ ხდება განრიდებისა და მედიაციის გამოყენება. 2010 წლიდან 2015 წლის ბოლომდე საერთო ჯამში განრიდებულია 1038 არასრულწლოვანი.[18] ბავშვის განრიდება არ ნიშნავს მისი დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. უფრო მეტიც, ის საშუალებას იძლევა, გადაიდგას ნაბიჯები ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბავშვის ქცევის ძირითად მიზეზებთან დაპირისპირებისთვის შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან

16 „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე", (განკუთვნილი საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის) 2015. თბილისი, გვ. 229.

17 კაკაჩია მ., კლდიაშვილი ლ., 2004 „არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში". თბილისი, გვ.10.

18 2010-2015 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკა საქართველოში - <http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>

ასაცილებლად. ბავშვის თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, ბავშვის უფლებათა კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, „ხელი შეუწყონ ...ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე“ (მუხ.40). ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენაზე პასუხისმგებლობის აღიარების შემთხვევაში მისი სისხლის სამართლის სისტემიდან განრიდება მნიშვნელოვანი ფაქტორია იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხვდეს პატიმრობაში. კრიმინალურმა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიამ, ასევე ციხეებიდან გამოსული ახალგაზრდებისთვის სასჯელის ხელმეორედ მისჯის მაღალმა დონემ აჩვენა სასჯელზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი კონტროლის ტრადიციული მიდგომის მარცხი.[19]

ზოგადად, სასჯელი ემსგავსება რომის პანთეონის ღმერთს – ორსახოვან იანუსს; იგი ერთი სახით მიმართულია წარსულისაკენ – უკვე ჩადენილი დანაშაულისა და მისი სუბიექტისაკენ, მეორე სახით კი მომავლისკენ – მსჯავრდებულის გამოსწორებისკენ, რათა მან სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული.[20] მართალია, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ზრდის გამო საზოგადოება ხშირად სასჯელის გამკაცრებას ითხოვს, თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ თავისუფლების ხშირი და გრძელვადიანი აღკვეთით მხოლოდ უარყოფით შედეგებს მივიღებთ. ჯერ კიდევ 1998 წლის რეზოლუციაში, რომელსაც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ორმოცდათხუთმეტმა პროფესორმა და კრიმინოლოგმა მოაწერა ხელი, ნათქვამია: „სიმკაცრე, როგორც პასუხი, სავარაუდოდ, უშედეგოა!“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, თუკი 2015 წლის დეკემბრის მონაცემებს 2016 წლის იანვრისა და თებერვალის მონაცემებს შევადარებთ, ვიღებთ შემდეგ სურათს – ახალი კოდექსის ამოქმედებიდან სულ მცირე ხანში მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელიც დეკემბერში 45-ს შეადგენდა, იანვარში 17-მდე, ხოლო თებარვალში 15-მდე შემცირდა. იმ მსჯავრდებულთა რაოდენობამ კი, რომელთა მიმართც ვადიანი თავისუფლების აღკვეთა იქნა გამოყენებული, 15-დან 5-მდე იკლო.[21]

სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: „სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით“.[22] მკვლევრები კვლავაც ამტკიცებენ, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა საპატიმროში ჩასმა საგრძნობ გავლენას ვერ ახდენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლის დანაშაულობათა დონეზე.[23]

ალტერნატიული სასჯელებს დიდი როლი აქვს სისხლის სამართალში, მათი გამოყენება ხელს უწყობს დამნაშავე პირის რესოციალიზაციას. არასაპატიმრო სასჯელები ეფექტურია იმ კუთხით, რომ მსჯავრდებულს ეძლევა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული გზა,[24] ასევე გარესამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა, საშუალება, რომ არ მოსწყდეს საკუთარ ოჯახს, მეგობრებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს არასრულწლოვნებისთვისაა, რაც ხელს უწყობს მათ სოციალიზაციასაც.[25]

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯუ-

19 ფაფიაშვილი ლ., 2008. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი“ „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“. თბილისი, N 1, გვ. 155.

20 Таганцев И. С., 1994. „ Русское уголовное право“, Лекции, часть общая, Т. 1 , Москва, с. 17

21 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართლებრივი სტატისტიკა, სისხლის სამართლის სტატისტიკა 2015-2016 <http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo>

22 ლეკვეიშვილი მ., 2011. “სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა“, სტატიათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, გვ. 23.

23 Denice C. Gottfredson and William H.Barton, “Deinstitutionalization of Juvenile Offenders”, Criminology, 31 (1993) 591-611.

24 Criminal law Reform in Continental Europe - <http://law.jrank.org/pages/860/Criminal-Law-Reform-Continental-Europe-Criminal-law-reform-in-continental-Europe.html>

25 ტორიაშვილი ნ., 2013. „ ალტერნატიული სასჯელები“. თბილისი, გვ.78.

ლების კოდექსის“ მიღებით საქართველო გაუტოლდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ყველა იმ საუკეთესო სტანდარტის დამკვიდრების კუთხით, რომელსაც განამტკიცებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის უპირველესი ამოცანა კი არის არა დასჯა დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ – არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია.

JUVENILE JUSTICE CODE - LAW ON PUNISHMENT OR UPBRINGING?!

Elene Kavtuashvili

PhD Candidate at the University of Georgia,
European Teaching University, Assistant
Caucausus International University, Faculty of law, Assistant

KEY WORDS: Justice, child, reforms

RESUME

Youth crime problem exists not only in our country, it is global. Various crimes arise in the society depending on what is the cause and the development of the circumstances. Crime can be an act of various types and committed by variety of individuals or groups of individuals. The most important of these are the crimes committed by juveniles.

The article “Juvenile Justice Code – law on punishment or upbringing?!” discusses the Juvenile Justice Code, which is in force in Georgia from January 2016 and established with all the best standards in the field of Juvenile Justice that includes international legal acts.

In present time, the most important goal is not to punish the juvenile for committing a crime, but rather encourage the juvenile rehabilitation and reintegration. The article deals with penalties, which the Code introduced and their impact on the reduction of juvenile crime.

NOTES:

1. Kandashvili i., Juvenile justice issues (UN 1989 "International Convention on Children's Rights" and According to Georgian legislation) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi (In Georgian)
2. Pradeli p., 1999. "Comparative Criminal Law", Tbilisi, , p .443. (In Georgian)
3. Kusiani E., 2011. "The causes and prevention of juvenile delinquency", June,.http://www.education.ge/ (In Georgian)
4. "Rights for every child". 2004. UNICEF, p.10. (In English)
5. Hamilton Q., 2007. "analysis of the juvenile justice system in Georgia"UNICEF Georgia. (In Georgian)
6. Papiashvili l., 2007. "Juvenile Justice – educational Jurisdiction" of the magazine", The Parliament ", p. 52. (In Georgian)
7. < http://www.refworld.org/> http://www.vsrh.hr/ http://dejure.org/gesetze/> (In English)
8. The UN Convention on the Rights of the Child, Article 37 (b), see. Also Committee on the Rights of the Child 10, paragraph 28. (In Georgian)
9. Rijamadze t., 2015-09-21. "How to control the prisoners under house arrest, bracelets and what categories of convicts serving a sentence alternative mechanism", , <http://www.tbiliselebi.ge> (In Georgian)
10. Kobidze I., 22.07.2014. "Home arrest as a form of punishment". <http://reformersclub.ge/> (In Georgian)
11. The strategy of "Criminal Justice Reform and the plan of action " (Adopted by the Interagency Coordinating Council July 27, 2009) <www.justice.gov.ge> (In Georgian)
12. Kherkheulidze I., 2011. – "Community service – Non custodial punishments of minors, one of the best guarantees of the re-socialization of Juvenile offenders", the "Law and Justice", N 2, p. 119. (In Georgian)
13. Hamilton Street., 2006. UNICEF expert on children's rights, of Essex University professor of law, A meeting held in Georgia. (In Georgian)
14. Huizinga, D., 2000. Who goes to prison? Paper presented at the Annual Conference on Criminal Justice Research and Evaluation, Washington, DC. (In English)
15. Papiashvili l., 2008. "some of the issues of juvenile justice", "Journal of International Law", Tbilisi, N 1 – p 154. (In English)
16. Guidelines on the form and validity of the verdict in criminal case and the operability of the stylistic text – (for the General Court judges), 2015, Tbilisi, p. 229. (In English)
17. Kakachia M., kldiashvili L. 2004. "The rehabilitation of the juvenile offenders in Georgia". Tbilisi, p. 10. (In Georgian)
18. 2010-2015 years, Statistics on juvenile diversion program in Georgia – <http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo> (In Georgian)
19. Papiashvili l., 2008. "some of the issues of juvenile justice", "Journal of International Law", Tbilisi, N 1 -p .155. (In Georgian)
20. Tagantsev I. S., 1994. "Russian criminal law" Lectures, a common part ,T. 1, Moscow, p. 17. (In Russian)
21. National Statistics Office of Georgia, Justice Statistics, Criminal Justice Statistics 2015-2016 <http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo> (In Georgian)
22. Lekveishvili m., 2011. "Penalty goals and specifics of juvenile punishment", a collection of articles, published by "Meridian", Tbilisi, p. 23. (In Georgian)
23. Denice C. Gottfredson and William H.Barton., 1993. "Deinstitutional-

ization of Juvenile Offenders", Criminology, 591-611. (In English)
24. Criminal law Reform in Continental Europe – <http://law.jrank.org/pages/860/Criminal-Law-Reform-Continental-Europe-Criminal-law-reform-in-continental-Europe.html> (In English)
25. Toriashvili m., 2013. "Alternative sentences", Tbilisi, p. 78. (In Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Criminal Code of Georgia. 1999. Version of May 2015. (In Georgian)
2. Juvenile Justice Code of Georgia. 2015. Version of April, 2016. (In Georgian)
3. Convention on the rights of the child of 1989, the Edition of the April 2016 (In Georgian)